

2024 წლის ანგარიში



თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის

გარემოს დაცვის კომისიის წევრის

ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წევრის

ლევან აბაშიძის

ანგარიში



ადგილობრივ თვითმმართველობას განსაკუთრებული როლი აქვს ქვეყნის განვითარებაში და ზოგადად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. ის არის მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მყოფი რგოლი, რომლის უპირველესი ვალდებულებაა ყოველდღიური პირდაპირი კომუნიკაცია ხალხთან, მათი მოსმენა და მათ საჭიროებებზე ზრუნვა. იყო ადგილობრივი თვითმმართველობაში ხალხის წარმომადგენელი ერთის მხრივ დიდი პატივია, მაგრამ ასევე უდიდესი პასუხისმგებლობაა. განსაკუთრებული პატივია იყო თბილისის საკრებულოს წევრი, ქალაქის, რომელსაც უდიდესი ისტორია გააჩნია და, რომლის სამსახურშიც ყოველთვის განსაკუთრებული ადამიანები იდგნენ.

მე 2021 წლიდან მაქვს პატივი თბილისის საკრებულოს წევრის რანგში ვემსახურო ჩვენს დედაქალაქს და მივიღო მონაწილეობა ყველა იმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში, რომელსაც თბილისის საკრებულო იღებს. რა თქმა უნდა არსებობს უამრავი სირთულე და გამოწვევა ყველა მიმართულებით, მაგრამ ჩემი პირადად და სხვა საკრებულოს წევრების პირდაპირი ვალდებულებაა მუდმივად ვიფიქროთ ამ სირთულეებისა და გამოწვევების გადალახვაზე და თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე.

ჩვენი, საკრებულოს წევრების ვალდებულებაა მოსახლეობას წარვუდგინოთ ყოველწლიური ანგარიში იმ პროექტებისა და გადაწყვეტილებების შესახებ, რომელთა განხორციელებასა და მიღებაში გვაქვს მონაწილეობა მიღებული და აქედან გამომდინარე გთავაზობთ ჩემს 2023-2024 წლების საკრებულოს წევრის ყოველწლიურ ანგარიშს.

**ლევან აბაშიძე**

# შინაარსი

|                                                                                              |    |
|----------------------------------------------------------------------------------------------|----|
| შინაარსი .....                                                                               | 3  |
| თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულო.....                                         | 4  |
| 1. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია .....                                                   | 6  |
| 1.1. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში .....                 | 6  |
| 2. თბილისის სიმბოლოების (დროშა, გერბი) მიღება.....                                           | 8  |
| 3. მნიშვნელოვანი აქტივობები .....                                                            | 10 |
| 3.1. გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარება სახელდების პროცესში .....                     | 12 |
| 4. პარტნიორობისა და გამჭვირვალობის პოლიტიკა.....                                             | 13 |
| 4.1. მოქალაქეებთან ურთიერთობა .....                                                          | 13 |
| 4.2. პარტნიორობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უწყებებთან .....                              | 15 |
| 4.3. პარტნიორობა თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების<br>სააგენტოსთან.....  | 16 |
| 4.4. პარტნიორობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან .....                                  | 17 |
| 4.5. პარტნიორობა ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან .....                     | 17 |
| 4.6. პარტნიორობა საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო<br>საბჭოსთან .....   | 18 |
| 5. გეოგრაფიული ობიექტების გახსნის ღონისძიებები.....                                          | 19 |
| 5.1. ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ქუჩის გახსნა .....                                       | 19 |
| 5.2. ალექსანდრე ონიანის ქუჩის გახსნა.....                                                    | 20 |
| 5.3. იასონ ლორთქიფანიძის სახელობის ქუჩის გახსნა.....                                         | 21 |
| 5.4. ნოდარ მათიაშვილის სახელობის სკვერის გახსნა .....                                        | 22 |
| 6. საქმიანობა გარემოს დაცვის კომისიაში .....                                                 | 23 |
| 7. საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში.....                       | 24 |
| 8. საქმიანობა ფრაქციაში „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“.....                       | 26 |
| 9. მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის<br>კომისია ..... | 27 |
| 10. შეჯამება და სამომავლო გეგმები.....                                                       | 28 |
| 11. დანართი.....                                                                             | 30 |

## თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულო

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება პირდაპირი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ხმის უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეების მიერ არჩეული წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ, ოთხი წლის ვადით.

თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა თბილისის საკრებულო, რომელიც უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საკრებულოს რეგლამენტის, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებზე ამომრჩევლებმა ოთხი წლის ვადით აირჩიეს დედაქალაქის საკრებულოს 50 წევრი, აქედან 40 წევრი - პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო 10 - ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე.

**VII მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 11 მუდმივმოქმედი კომისია:**

- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია
- განათლებისა და კულტურის კომისია
- იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია
- ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია
- სატრანსპორტო საკითხთა კომისია
- გარემოს დაცვის კომისია
- სარევიზიო კომისია
- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია

- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია
- ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია
- ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

#### 4 ფრაქცია:

- ფრაქცია ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
- ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- ფრაქცია თბილისი საქართველოსთვის
- ფრაქცია ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დედაქალაქში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება ურბანული დაგეგმარების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ტრანსპორტის, ეკოლოგიისა და გამწვანების, განათლების, კულტურის, სპორტის და სხვა პრიორიტეტების მიმართულებით.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის საქმიანობა 2024 წლის ივლისამდე მოიცავდა საქმიანობას ფრაქციის „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე, ასევე გარემოს დაცვის და ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრად მუშაობას. საკრებულოს წევრისთვის დაკისრებული ვალდებულებების გარდა აქტიურად ვარ ჩართული ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მუშაობაში. ივლისის თვიდან საქმიანობას ვაგრძელებ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის პოზიციაზე.

საანგარიშო წლის განმავლობაში ჩატარდა 14 საკრებულოს სხდომა. საკრებულოს მიერ მიღებული იქნა 113 დადგენილება და 675 განკარგულება, აქედან 108 განკარგულება სახელდებლასთან დაკავშირებით. ჩემს მიერ საკრებულოს სხდომებზე მხარდაჭერილია ყველა ის პროგრამა და პროექტი, რომელიც წლის განმავლობაში დაინიცირდა და რომელთა განხორციელების პროცესი და პოზიტიური შედეგები ხელშესახებია დედაქალაქის თვითოეული მაცხოვრებლისთვის.

# 1. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდება. ამავე კოდექსის მიხედვით გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას და მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დადგენას ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გეოგრაფიული ობიექტების სახელდების, თბილისის დროშის, გერბის და სხვა სიმბოლოების დადგენის მიზნით თბილისის საკრებულოში შექმნილია სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია.


კომისიის პერსონალური შემადგენლობა დაკომპლექტებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისგან. კომისიის უფლებამოსილება და სხდომების პერიოდულობა განსაზღვრულია კანონმდებლობით, კომისიის დებულებითა და გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ დამტკიცებული წესით. ხსენებული წესი განსაზღვრავს როგორც სახელდების განხორციელების პროცედურულ, ასევე მიზანშეწონილობის დადგენისა და სახელწოდების შერჩევის პროცედურებს.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ, როგორც დროებითმა სამუშაო ჯგუფმა საკრებულოში ფუნქციონირება 2006 წელს დაიწყო. სამუშაოების მოცულობის და მზარდი მომართვიანობის გათვალისწინებით 2010 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება მის მუდმივმოქმედ კომისიად ჩამოყალიბების თაობაზე.

## 1.1. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 12 სხდომა ჩატარდა, კომისიის 3 სხდომა ჩატარდა უშუალოდ ჩემი თავმჯდომარეობის პირობებში, ხოლო 9 სხდომას ნინო ვარდოსანიძე ხელმძღვანელობდა. საერთო ჯამში 202 საკითხი იქნა

განხილული, ჩემი თავმჯდომარეობით კი კომისიამ 71 საკითხი შეისწავლა. 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის ოქტომბრის პერიოდში თბილისის საკრებულოს მიერ, სახელდების თაობაზე 108 ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი - განკარგულება (იხ. დანართი) იქნა გამოცემული, რაც საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულებების 11 პროცენტია, 2022-2023 წლების შესაბამის პერიოდშიც სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინიცირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების წილი, საკრებულოს მიერ გამოცემულ განკარგულებებში დაახლოებით 11%-ია.



სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საკითხების შესწავლის და დამუშავების შემდგომ ინიციატივებს ამზადებს როგორც დაინტერესებული მხარეების მომართვის, ისე საკუთარი ინიციატივით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიას დაახლოებით 250 განცხადება წარედგინა. დაინტერესებულ პირთა მომართვიანობა ძირითადად უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას, ობიექტისთვის სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის სახელის მინიჭებას შეეხებოდა.

გარდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული წერილებისა, კომისიის მიერ ასევე დამუშავდა ისეთი კორესპონდენციები, რომელთა საფუძველზეც ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საანგარიშო პერიოდამდე დაიწყო.

როგორც წინამდებარე ანგარიშში აღინიშნა, კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, განხილული იქნა 202 საკითხი. თითოეულმა საკითხმა სახელდების წესით და საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად გაიარა დამუშავების სავალდებულო ეტაპები. თითოეულ საკითხზე შედგა მიმოწერა როგორც მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, ასევე საკითხთან შემხებლობაში მყოფ სხვადასხვა უწყებასთან (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური და სხვა.) განხილვის პროცედურების დასრულების შემდგომ თვითოეულ საკითხზე გაიმართა საჯარო განხილვა და საკითხი შესაბამისი სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე განსახილველად წარედგინა საკრებულოს.

## 2. თბილისის სიმბოლოების (დროშა, გერბი) მიღება



როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან ერთად აქტიურად იმუშავა თბილისის ჰერალდიკური ნიშნების (დროშა, გერბი) ჰერალდიკურ კანონიკასთან შესაბამისობის საკითხის განხილვის მიმართულებით.

პროფესიული საზოგადოების მიერ, ერთხმად იქნა აღიარებული, რომ თბილისის სიმბოლოები საჭიროებს ჰერალდიკურ პრინციპებთან თანხვედრაში მოყვანას.

2023 წელს, თბილისის სიმბოლოების მიღების თაობაზე დამტკიცდა ნორმატიული დოკუმენტები და ნამუშევრების შესაფასებლად შეიქმნა საკონკურსო კომისია.

2024 წელს გამოცხადდა შესარჩევი კონკურსი. კონკურსით განსაზღვრულ პერიოდში კომისიას წარედგინა 27 საკონკურსო ნამუშევარი, რომელთა შეფასებაც ანონიმურობის დაცვის პრინციპით განხორციელდა.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ნამუშევრების ნაწილი პირდაპირ იმეორებდა სახელმწიფო სიმბოლოებს, რაც ქალაქის სიმბოლიკისთვის დაუშვებელია. რიგ შემთხვევებში არ იყო დაცული კავშირი გერბსა და დროშას შორის.



წარმოდგენილი პროექტების ნაწილი არ ასოცირდებოდა თბილისთან, მის თვალსაჩინოებებთან ან ისტორიასთან, ხოლო ის ნიმუშები, რომლებიც ამგვარ იდეებს გამოხატავდა, მხატვრული შესრულების კუთხით ან ჰერალდიკური გამოსახვის წესების დარღვევის გამო დაწუნებული იქნა.

ვინაიდან საკონკურსო განაცხადებით წარმოდგენილი ნამუშევრებიდან გამარჯვებული ნიმუში ვერ შეირჩა, კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა, საკონკურსო კომისიამ კი ახალი კონკურსის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო.

### 3. მნიშვნელოვანი აქტივობები

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მუდმივად ახორციელებს თბილისის ურბანულ გარემოში საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის გატარებას, სამშობლოს დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის და სხვა სფეროს ღვაწლმოსილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების სახელების სათანადო უკვდავყოფის გზით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ იმუშავა თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტებისთვის ისეთი საზოგადო მოღვაწეების სახელების მინიჭებაზე, როგორებიც არიან:

#### ხელოვნება, კულტურა, მწერლობა:

- გურამ ფირცხალავა
- რევაზ ჭოხონელიძე
- ომარ კელაპტრიშვილი
- ლიკა ქავჭავაძე
- შალვა დავითაშვილი
- სანდრო ახმეტელი
- დევი აბაშიძე
- აკაკი ვასაძე
- თამარ სხირტლაძე
- ნადია შალუტაშვილი
- თამარ წულუკიძე
- დუდუხანა წეროძე
- ნატალია აზიანი
- ფრიდონ ხალვაში
- ჩინგიზ აითმათოვი

#### სპორტსმენები:

- გიორგი ოდიშვილი
- მარინე უთმელიძე
- თეიმურაზ კაკულია

## 2008 წლის რუსეთ-საქართველოს და აფხაზეთის ომში გარდაცვლილი მებრძოლები:

- სოსო ღვინიაშვილი
- გია მოსეშვილი
- კობა აბზიანიძე
- გოჩა მაჩაიძე
- ზურაბ და მამუკა ბეროძეები
- ემზარ გელანტია
- კობა მირზაშვილი
- ლილი თაკვარელია
- მანანა თოლორდავა
- გულიკო გოდოლაძე (ჟურნალისტი)
- ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილი
- ვენერა გაბუნია
- ინგა გვასალია
- რუსუდან ჩხეტიანი
- მერი პაკელიანი
- ალექსანდრე გამსახურდია

## სამეცნიერო საზოგადოება:

- გივი ჟვანია
- ზაზა ალექსიძე
- ალბერტ თავხელიძე
- ალესი მანაგაძე
- ვლადიმერ ბახუტაშვილი
- პალიკო კინტრია
- არჩილ და გია ქურდიანები
- გოჩა ჩოგოვაძე

## მფრინავები, მაშველები:


- ზაზა ლორია
- დიმიტრი ქაძე
- ლევან ჩოხელი
- გიორგი მარგიანი
- კახა ტორჩინავა
- ანდრო ქუჯოშვილი
- გიორგი ვენეცკი
- ქეთევან გულადაშვილი

### 3.1. გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარება სახელდების პროცესში

საანგარიშო წლის განმავლობაში, წინა წლების მსგავსად, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ გააგრძელა თბილისის ურბანულ გარემოში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარების პრაქტიკა.

კომისიის ინიციატივით თბილისის ქუჩებს შეემატა იმ ქალების სახელობის გეოგრაფიული ობიექტები, რომლებსაც განსაკუთრებული ღვაწლი შეიტანეს ხელოვნების, კულტურის, სპორტის, მეცნიერების განვითარების საქმეში. კომისიამ იმუშავა და ქუჩებს მიანიჭა იმ ქალების სახელები, რომლებიც იბრძოდნენ ან საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას დაიღუპნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მინიჭებული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელობის ქუჩებიდან დაახლოებით 34% -ს მიენიჭა ქალის, ხოლო 66% -ს კაცის სახელი, რაც ზუსტად იმეორებს წინა საანგარიშო წლის პროცენტულ მაჩვენებელს და 3 ერთეულით აღემატება ქალების რაოდენობა გასული წლის მონაცემებს.



## 4. პარტნიორობისა და გამჭვირვალობის პოლიტიკა

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია, საქმიანობის განხორციელების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პარტნიორობას ისეთ უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც პირდაპირ ან ირიბ შემხებლობაში არიან კომისიის უფლებამოსილების ჩარჩოსთან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდა თანამშრომლობა ისეთ უწყებებთან, როგორებიც არიან: თბილისის მერიის სამსახურები, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ეროვნული არქივი, ვეტერანების საქმეთა სამსახური, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო, და სხვა.

ჩემთვის, როგორც კომისიის თავმჯდომარისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების მაქსიმალური ჩართულობა. ყველა მნიშვნელოვან ლოკაციაზე, სადაც კომისია ცვლილების პროცესს აწარმოებს ხდება ადგილობრივებთან შეხვედრების და ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების პროცესის უზრუნველყოფა.

პარტნიორობისა და გამჭვირვალობის კონტექსტში აღსანიშნავია:

### 4.1. მოქალაქეებთან ურთიერთობა



საქართველოში დემოკრატიული მმართველობა ეყრდნობა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, როგორც ხალხთან ყველაზე ახლოს მდგომ ინსტიტუტებს განსაკუთრებული

მნიშვნელობა ენიჭებათ საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია აცნობიერებს საჯაროობისა და ჩართულობის მნიშვნელობას ქვეყანაში კარგი მმართველობის პრინციპების განსამტკიცებლად. როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების ევროპული ქარტია, საქართველოს კონსტიტუცია, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები პირდაპირ და ირიბად მოიაზრებს მოქალაქეთა უფლებას, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი, გარდა მოქალაქეთა მონაწილეობის კანონმდებლობით გაწერილი შესაძლებლობებისა კომისიას დამატებით ავალდებულებს თითოეულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ საჯარო განხილვის და საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვის შემდგომ. ამ უფლების რეალიზებისთვის კომისიის სხდომის დღის წესრიგი, შესაბამის მასალებთან ერთად ქვეყნდება საჯაროდ, არანაკლებ 20 დღის ვადით და მხოლოდ ამის შემდგომ კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს სხდომა. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ კომისიის სხდომებში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ

ყველა საკითხი აღნიშნული პროცედურების დაცვით განიხილა. გარდა ამისა, ცალკეულ საკითხებზე განხილვები გაიმართა უშუალოდ იმ ტერიტორიებზე, სადაც სახელდება განხორციელდა.



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოქალაქეებთან ურთიერთობა და ჩართულობა განხორციელდა სხვადასხვა ფორმით, მათ შორის: კომისიის მიერ საკითხების საჯაროდ განხილვა; მოქალაქეებთან შეხვედრები, როგორც საკრებულოში, ასევე უშუალოდ კონკრეტულ პრობლემურ ლოკაციებზე; სატელეფონო კომუნიკაცია; სოციალური ქსელი, წერილობითი მომართვიანობა.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოში მოსულ ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდა შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში შეხვედროდა, კომისიის თავმჯდომარეს და მის აპარატს. ხსენებული შესაძლებლობით არაერთმა მოქალაქემ ისარგებლა. მომართვიანობა ძირითადად მისამართის დაზუსტებას, კონსულტაციის გაწევას, გზათა ქსელების მომზადების, ტერიტორიის იდენტიფიცირების და ღვაწლის დასადასტურებლად საჭირო დოკუმენტების შესახებ ინფორმაციას შეეხებოდა.

სატელეფონო კონსულტაცია დაახლოებით ხუთას მოქალაქეს გაეწია, ასევე აქტიურად ხდება მომართვა სოციალური ქსელის საშუალებით, რა დროსაც დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია დაუყოვნებლოვ მიეწოდებათ. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წარმომადგენლები რეგულარულად ახორციელებენ მისამართებისა და გეოგრაფიული ობიექტების ადგილზე დათვალიერებას.



#### 4.2. პარტნიორობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უწყებებთან

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის უფლებამოსილების განხორციელების პროცესი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების მიმართულებით მოიცავს დამისამართებას და ქუჩისთვის სახელმწიფო/საზოგადო მოღვაწის ან ისტორიული მოვლენის/თარიღის და ტოპონიმური სახელწოდების მინიჭებას. დამისამართების კომპონენტში კომისია აქტიურ კომუნიკაციაშია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან და მერიის შესაბამის სამსახურებთან ობიექტის ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრისა და სამისამართე აბრევის განთავსების ნაწილში. სახელწოდების შერჩევის მიმართულებით კი კომისია

პარტნიორობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, მეცნიერებათა აკადემიასთან, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან, საქართველოს საპატრიარქოსთან, ეროვნულ არქივთან, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან. მუნიციპალური სიმბოლოების დადგენის, გამოყენებისა და გამოსახვის წესების შემუშავების კომპონენტში კი კომისია მუდმივ კომუნიკაციაშია საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან.

#### 4.3. პარტნიორობა თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან



##### თბილისის მერია

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან. ერთობლივად განხორციელდა 80-ზე მეტი გეოგრაფიული ობიექტის განვითარების

არეალის შესწავლა, საზღვრებისა და პარამეტრების დადგენა. ხსენებული სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი კარტოგრაფიული მასალები რაც საკრებულოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს დაერთო. სამსახურთან ერთად სახელდება დასრულდა ისეთ პრობლემურ ტერიტორიებზე, რომელთა დამისამართების პროცესიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა (ფონიჭალის დასახლება).

#### 4.4. პარტნიორობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან



საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახური კომისიის ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად მოიაზრება. უწყებასთან არსებული შეთანხმების შესაბამისად კვლავ გაგრძელდა ერთი ფანჯრის პრინციპით მუშაობა და ამა თუ იმ ობიექტთან დაკავშირებით მოქალაქის მიმართვის

საფუძველზე უწყებები ელექტრონულად ცვლიან ინფორმაციას დაინტერესებული პირის მიერ დამატებითი გადამისამართებების და ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამისამართო სამსახურის მიერ დამისამართების თაობაზე წარდგენილ ათობით განცხადებაზე მოხდა რეაგირება. ვინაიდან განცხადებათა რაოდენობა მოიცავდა სრული ქუჩის ნუმერაციას საერთო ჯამში წლის განმავლობაში მისამართი მიენიჭა დაახლოებით ათი ათასამდე საკადასტრო ერთეულს.

#### 4.5. პარტნიორობა ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან



თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით სამისამართე აბრების დამზადებისა და განთავსების მიმართულებით 500 000 ლარია გათვალისწინებული.

ვინაიდან აბრის განთავსებამდე ხდება ქუჩაზე არსებული საკადასტრო ერთეულების სისტემური ნუმერაცია, სახელდებისა და

სიმბოლიკის კომისია ერთობლივ კომუნიკაციაშია მერიის ხსენებულ სამსახურსა და სამისამართო სამსახურს შორის. ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური ქუჩაზე აბრების განთავსების პროცესს იწყებს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიასთან შეთანხმებით. კომისია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა იმ ქუჩების პრიორიტეტების განსაზღვრაში, სადაც აბრების მონტაჟი განხორციელდა. წლის განმავლობაში გეგმიურად განხორციელდება აბრის მონტაჟი დაახლოებით 10 000 მისამართზე.

#### 4.6. პარტნიორობა საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან

საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებთან დაკავშირებით წარმოშობს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან კოორდინაციის საჭიროებას. მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან მათი სიმბოლიკა შეათანხმონ ჰერალდიკის საბჭოსთან. ხსენებული მიზნის უზრუნველსაყოფად 2023 წლის განმავლობაში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წარმომადგენლებმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის და თბილისის მერის მოადგილის ჩართულობით, რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გამართეს საბჭოსთან. ხსენებული სამუშაოები გაგრძელდება 2024 წლის ფარგლებშიც და კონკურსის წესით განხორციელდება თბილისის ახალი სიმბოლიკის შერჩევა.

თბილისის გარდა ყველა მუნიციპალიტეტს აქვს კანონის შესაბამისად დამტკიცებული ქალაქის სიმბოლიკა. კომისიის ინიციატივით და ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციებით დაიწყო თბილისის სიმბოლიკაზე და მისი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მიღებაზე მუშაობა.

## 5. გეოგრაფიული ობიექტების გახსნის ღონისძიებები

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შემდგომ დაინტერესებული პირების სურვილით ან საკუთარი ინიციატივით გეგმავს გეოგრაფიული ობიექტების გახსნის ღონისძიებებს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს საზოგადოებაში ახალი გეოგრაფიული ობიექტის ცნობადობის ზრდას, ასევე გახსნის ღონისძიებების ორგანიზებით ხდება ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გაგრძელება ყველა იმ მიმართულებით, რაც ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ყოველდღიურ საზრუნავს წარმოადგენს. გარდა აღნიშნულისა, სახელდებული გეოგრაფიული ობიექტის გახსნა, კონკრეტული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების ღვაწლის დაფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

### 5.1. ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ქუჩის გახსნა



სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარედ ნინო ვარდოსანიძის მუშაობის პირობებში თბილისში, ისნის რაიონში სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ქუჩა გაიხსნა. ქუჩის სახელდებისა და შემდგომ გახსნის ღონისძიება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობით გაიმართა.

ქუჩის გახსნას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს ისნის მაჟორიტარი წევრი კახა ლაბუჩიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯაბა სამუშია, უნივერსიტეტის წარმომადგენლები, ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის

წარმომადგენლები და საგარეჯოს ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის სკოლის მოსწავლეები დაესწრნენ.

ვარლამ ჩერქეზიშვილი რამდენიმე ათეული წელი ემიგრაციაში ცხოვრობდა. ვარლამ ჩერქეზიშვილი თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძესთან და გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით კორესპონდენციებს აქვეყნებდა. ის 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. იყო საქართველოს ეროვნული კრების წევრი. ვარლამ ჩერქეზიშვილი 1921 წელს საბჭოთა საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძოდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მან სამშობლო დატოვა და ემიგრაციაში გარდაიცვალა.



## 5.2. ალექსანდრე ონიანის ქუჩის გახსნა



2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის წლისთავთან დაკავშირებით ისნის რაიონში, საქართველოს ეროვნული გმირის, ალექსანდრე ონიანის სახელობის ქუჩა გაიხსნა.

ღონისძიებას საკრებულოს დეპუტატები, ალექსანდრე ონიანის ოჯახის წევრები, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ირაკლი ჭიჭინაძე, ლოჯისტიკური სარდალი, ბრიგადის გენერალი კახა ტაბატაძე, თავდაცვის სამინისტროს სამხედროები, მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

„შინდისის გმირი“, უმცროსი სერჟანტი ალექსანდრე ონიანი 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, 11 აგვისტოს, 27 წლის ასაკში გმირულად დაიღუპა. ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსან (გარდაცვალების შემდეგ) სამხედროს 2021 წელს ეროვნული გმირის ორდენი მიენიჭა.



### 5.3. იასონ ლორთქიფანიძის სახელობის ქუჩის გახსნა



თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით, საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველი მმართველის, იასონ ლორთქიფანიძის სახელობის ქუჩა და სკვერი გაიხსნა.

ქუჩის გახსნაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძემ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნათია თურნავამ და საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძემ. ღონისძიებას თბილისის საკრებულოს წევრები, ეროვნული ბანკის წარმომადგენლები და იასონ ლორთქიფანიძის ოჯახის წევრები დაესწრნენ.

იასონ ლორთქიფანიძე 1919-1921 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველი მმართველი. იასონ ლორთქიფანიძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ცენტრალური ბანკის ჩამოყალიბებაში, რასაც დამოუკიდებლობის წლებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ასევე ხაზგასასმელია მისი ღვაწლი სხვა არაერთ ეროვნულ საქმეში. იასონ ლორთქიფანიძე

იყო ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი კომისიის წევრი და ამ კომისიის საფინანსო ნაწილის ხელმძღვანელი; სათავეში ედგა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერთა შორის; სწორედ იასონ ლორთქიფანიძის თაოსნობით მოიძიეს განჯაში ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავის ადგილსამყოფელი და მისი ნეშტი სამშობლოს დაუბრუნდა.



#### 5.4. ნოდარ მათიაშვილის სახელობის სკვერის გახსნა



წყნეთში აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ნოდარ მათიაშვილის სახელობის სკვერი გაიხსნა.

ღონისძიებას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, ვაკის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ტყემალაძე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

თავმჯდომარე ლევან აბაშიძე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე პაატა პატიაშვილი, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თავმჯდომარე კობა კობალაძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი დავით ფაცაცია, ვაკის რაიონის გამგებელი დავით კვინიკაძე, საკრებულოს წევრები, ნოდარ მათიაშვილის ოჯახის წევრები, მეგობრები და ადგილობრივი მოსახლეობა დაესწრნენ.

გამომსვლელებმა შეკრებულ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში ნოდარ მათიაშვილის დამსახურებაზე ისაუბრეს.

ნოდარ მათიაშვილი 1959 წელს წყნეთის იმ უბანში დაიბადა, სადაც საკრებულომ სკვერის სახელდება განახორციელა.

1993 წელს, საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას, თანამებრძოლის დახმარების დროს სეპარატისტებმა ტყვედ აიყვანეს ნოდარ მათიაშვილი და წამებით მოკლეს.



## 6. საქმიანობა გარემოს დაცვის კომისიაში

გარემოს დაცვის კომისიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩაატარა - 15 სხდომა, განხილული საკითხების რაოდენობა შეადგენდა - 85 საკითხს. ჩემს მიერ შესწავლილი იქნე ყველა - 85 საკითხი

გარემოს დაცვის კომისიის მიერ მხარდაჭერილი იქნა მერიის მიერ დაწყებული ყველა ის პროგრამა და ინიციატივა, რომელიც თბილისის, როგორც ეკოლოგიურად სუფთა ქალაქად ჩამოყალიბებას ემსახურება. წლის განმავლობაში ქალაქის მერიის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითად პრიორიტეტს კვლავინდებურად წარმოადგენდა ახალი სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა, დასრულდა არაერთი ახალი პარკის მშენებლობა და განხორციელდა არსებული მწვანე სივრცეების რეაბილიტაცია. ასობით ლოკაციაზე დაიგო ახალი ხე-მცენარეები და დამონტაჟდა სარწყავი სისტემები.

## 7. საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ

### საკითხთა კომისიაში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 9 სხდომა, მონაწილეობა მივიღე კომისიის ყველა სხდომის მუშაობაში, ჩემს მიერ შესწავლილი იქნა 18 საკითხი.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, თბილისის 2024 წლის ბიუჯეტი 1 708 254 700 ლარით განისაზღვრა, საიდანაც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით 154 920 100 ლარი იქნა გათვალისწინებული.

გამოყოფილი ფინანსური რესურსების ფარგლებში, წლის განმავლობაში შეუფერხებლად დაფინანსდაგადამდებ და არაგადამდებ ეპიდემიოლოგიური კონტროლის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, სახსრების ენდოპროტეზირების, დაავადებათა სკრინინგის და ტრანსპლანტაციისთვის მერიის შესაბამის სამსახურში შესული განაცხადები.

სოციალური დაცვის პროგრამების ნაწილში შესაბამისი სამსახურის მიერ გაგრძელდა ისეთი საჭიროებების დაფინანსება, როგორიცაა: კომუნალური სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შინმოვლის თანადაფინანსება, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება, უფასო სასადილოებით

მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში.

საანგარიშო წლის განმავლობაში ცვლილებები შევიდა ზოგიერთ წესში, რითაც პროგრამები მეტი ადამიანისთვის გახდა ხელმისაწვდომი:

ცვლილება შევიდა „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ და ქვეპროგრამით დაფინანსებულ მედიკამენტებს ტრასტუზუმაბს, პერტუზუმაბს, ფესგოსა და ლაპატინებს ეხება. ძველი წესის თანახმად, საჭირო მედიკამენტები სრულად უფინანსდებოდათ, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 150 000-ს არ აღემატებოდა, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლე, მედიკამენტის ღირებულების 80%-ის დაფინანსებით სარგებლობდა. ახალი ცვლილებით, ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოსარგებლეებს, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა, მედიკამენტი დაუფინანსდებათ სრულად.

„გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევის დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ შეტანილი ცვლილებით, მოიხსნა იმუნომამოდიფიცირებელი პრეპარატების გამოყენების ასაკობრივი ზღვრები

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში გაიზარდა დასაფინანსებელ ბენეფიციართა რაოდენობა 1850-დან 2100-მდე, რაც განპირობებული იქნა 2024 წლის ბიუჯეტის ზრდის ხარჯზე, ზრდა ასევე შეეხო სხვა პროგრამებში გათვალისწინებულ თანხებსაც.

თბილისის საკრებულოსა და სამედიცინო დაწესებულება „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის თანახმად, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო და სამედიცინო დაწესებულება თანხმდებიან ერთობლივი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით ითანამშრომლონ.

## 8. საქმიანობა ფრაქციაში „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ 19 სხდომა, სადაც განხილული იქნა 43 საკითხი:

განსახილველი საკითხები ძირითადად შეეხებოდა იმ პროექტებსა და პროგრამებს, რომლებიც თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ხელისუფლებაში ყოფნის და კახა კალაძის თბილისის მერობის პირობებში ხორციელდება.

ფრაქციის სხდომებზე ასევე განხილული იქნა ტექნიკური ხასიათის -თვითმმართველობის განხორციელებისთვის საჭირო, ფრაქციის წევრების სხვადასხვა კომისიებში განაწილებისა და სხვა საკითხები.

## 9. მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და

### თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისია განიხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის საკითხებს.

საკითხების სრულყოფილი განხილვისთვის კომისია იძიებს ინფორმაციას მოქალაქეების ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, ამისთვის კომისია მიმართავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა, საქართველოს ფინანსთა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროებს და საქართველოში რეგისტრირებულ ბანკებს.

უსახლკაროს სტატუსის მინიჭების შემდეგ, კომისია, რიგითობის განსაზღვრის მიზნით, ოჯახებს ანიჭებს ქულებს, შესაბამისი წესის მიხედვით. შემდგომში, რესურსის შესაბამისად, გასცემს რეკომენდაციას ოჯახის ფართით დაკმაყოფილების შესახებ.

2024 წელს დავესწარი ხსენებული კომისიის 3 სხდომას. სხდომებზე განხილული იქნა 344/1172 ოჯახისთვის/პირისთვის ქულის მინიჭების საკითხი; 352/1193 პირის/ოჯახის უსახლკაროდ რეგისტრაციის საკითხი და 412/1515 ოჯახის/პირის უსახლკაროდ რეგისტრაციის საკითხი .

## 10. შეჯამება და სამომავლო გეგმები

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის პროგრამა 7 პოლიტიკას ეყრდნობოდა:

1. ქალაქის ურბანული განვითარების პოლიტიკა
2. სატრანსპორტო პოლიტიკა
3. ეკოლოგიური პოლიტიკა
4. სოციალური პოლიტიკა
5. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკა
6. ეკონომიკური პოლიტიკა
7. მართვის პოლიტიკა

ხსენებულმა პრიორიტეტებმა, თბილისში რეგისტრირებული ამომრჩევლის უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვა და ოთხი წლის განმავლობაში ქართულმა ოცნებამ 7 პოლიტიკაზე აგებული პროგრამის პრაქტიკაში რეალიზება მოახდინა.

2021 წლის მორიგ არჩევნებზე ჩვენი გუნდის დაპირება, შვიდ პოლიტიკაზე მდგარი სიკეთეების დედაქალაქის ყველა უბნისთვის სტანდარტად ქცევა იყო. ყველა უბანს ჰქონდეს ერთნაირი და უმაღლესი სტანდარტის ინფრასტრუქტურა, დედაქალაქის ყველა უბანში მცხოვრებ ადამიანებს ერთნაირად მიუწვდებოდეთ ხელი მუნიციპალურ სერვისებსა და ყველა იმ სიკეთეზე, რისი შეთავაზებაც სახელმწიფოს შეუძლია.

არჩევნებიდან სამი წლის შემდეგ, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საკრებულოს ახალი შემადგენლობა, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს ამომრჩევლისთვის მიცემული ყველა დაპირების შესრულებას.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობა, თბილისის მაცხოვრებლებისა და ქალაქის სტუმრების კომფორტული ცხოვრების პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად

არაერთი ძირითადი პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობს. ურბანული განვითარების, სატრანსპორტო სისტემების მოწესრიგების, განათლების, კულტურისა და სპორტის პოლიტიკის, სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. დამისამართების, გზათა ქსელის მოწესრიგების, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეთა ღვაწლის დაფასების, სამისამართო აბრების მონტაჟის პროცესს მნიშვნელოვანი როლი აქვს.

